პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2025 წლის ---- იანვარი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 25/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016353) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებას პირველი მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^1:

„მუხლი 1^1

1. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, №20, 21, 22, 26, $26^ა$, 27 და 33 მარშრუტებზე, M2 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრთა უფასო გადაყვანის ცალკეული კატეგორიები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და მოსწავლეები;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები; პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები;

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები;

თ) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები;

ი) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

კ) ქალაქ ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;

ლ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

მ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები;

ნ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.

2. მგზავრობისას ამ მუხლის პირველი პუნქტით მოსარგებლე პირებმა თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები.

3. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“, ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს ინფორმაცია ამ მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის“ უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის ოდენობის (0,5 ლარი) თანხების ანაზღაურება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს შეძენილი იქნა „FORD TRANSIT”-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსები , შესაბამისად შეიქმნა ახალი სამარშრუტო ხაზები და 30 ერთეული მიკროავტობუსით ხდება მგზავრთა გადაყვანა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მგზავრობის ღირებულება 50 თეთრი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია წლების მანძილზე ადმინისტრაციულ საზღვრებში ახორციელებს M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირებას ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიისათვის (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები). მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ზემოთაღნიშნული კატეგორიის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა ინიციატივა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირების გავრცელების შესახებ „FORD TRANSIT”-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსებით მგზავრობისას ქალაქის ფარგლებში შვიდ ახალ სამარშრუტო ხაზზე (#20,21,22, 26,26ა,27,33) იგივე მოწყვლადი კატეგორიისათვის, რომლებიც უფასოდ სარგებლობენ M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით. ამ ინიციატივის განსახორციელებლად საჭიროა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანა პუნქტობრივად - დამატებული იქნება ის მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფები (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური

სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები). , რომლებსაც შეეძლებათ 100% უფასო ტარიფით ისარგებლონ „FORD TRANSIT"-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსებით ახალ სამარშრუტო ხაზებზე (#20,21,22, 26,26ა,27,33).

ამ დადგენილების მიღების შემთხვევაში ასევე ცვლილება შევა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფის" პროგრამით განსაზღვრული „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება" ქვეპროგრამაში (კოდი 06.02.03).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანა .

კერძოდ:

1. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, №20, 21, 22, 26, 26ᵃ, 27 და 33 მარშრუტებზე, M2 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრთა უფასო გადაყვანის ცალკეული კატეგორიები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და მოსწავლეები;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები; პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები,

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები;

თ) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები;

ი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

კ) ქ. ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;

ლ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

მ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები;

ნ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი მიმდინარე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზეგავლენას არ ახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის უფროსი **სოფიო მიქელაძე**